ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2021-წლის 1 დეკემბრიდან 2022-წლის 2 ივლისის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

წარმოგიდგენთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2021 წლის 1 დეკემბრიდან 2022 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის ანგარიშს.საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისია მუშაობას წარმართავდა საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების შესაბამისად.

2021წლის 1 დეკემბრიდან 2022 წლის 2 ივლისამდე კომისიამ ჩაატარა 8 კომისიის სხდომა.კომისიაში გაწევრიანებულია 11 წევრი.კომისიის სხდომებს იწვევდა და წარმართავდა კომისიის თავმჯდომარე.პირველივე სხდომაზე არჩეულ იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მდივანი.საკითხებს განვიხილავდით მერიის ჯანმრთელობისა და სოციალურ სამსახურთან,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან კოორდინირებული მუშაობის რეჟიმში.მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე წელს ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა წარმოდგენილია 23 ქვეპროგრამით.2 ქვეპროგრამა არის ჯანმრთელობის დაცვის,ხოლო 21ქვეპროგრამა სოციალური მიმართულებით.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის დაფინანსება განისაზღრა 1583,7 ათასი ლარით.წლის დასაწყისში გასულ წელთან შედარებით ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებისათვის 478.3 ათასი ლარით მეტი დაიგეგმა .ცვლილებები განხილული და მოწონებულ იქნა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომებზე.მოგახსენებთ ამ ქვეპროგრამების შესახებ:

1)კოდი N060301 სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა,რომელიც მოიცავს,კვლევების,ოპერაციების,სამედიცინო მომსახურების და რამდენიმე ქრონიკული დაავადების მედიკამენტების დაფინანსებას.ასევე,მედიკამენტებს დაემატა კოვიდის შემდგომი დადასტურებული გართულების მედიკამენტოზური მკურნალობა და კოვიდით გამოწვეული სუნთქვის გაძნელების მქონე 6 წლამდე ასაკის ბავშვებსი სარეაბილიტაციო კურსის

თანადაფინანსება.გასულ წელს გეგმა განისაზღვრა 380,0 ათასი ლარით,მიმდინარე წელს კი 70,0 ლარით მეტია,ანუ 450,0 ათასი ლარი.საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამით გაცემულია 789 ადმინისტრაციული დაპირება,რაც გამოისახა 491,3 ათას ლარში.დაკმაყოფილდა 1019 განცხადება.

2) 06 03 03 შშმ პირთა დახმარება, რომელიც მოიცავს 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის და მედიკამენტების დაფინანსებას, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვების ელემენტით უზრუნველყოფას და ასევე, შშმ პირის, რომელიც საჭიროებს მომვლელს, ყოველთვიურ დახმარებას. კოხლეარული იმპლანტის ელემენტით ყოველწლიურად სარგებლობს 4 არასრულწლოვანი, მედიკამენტების და სამედიცინო კურსის დაფინანსებით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 55 მოქალაქემ. მომვლელის დახმარების მოსარგებლეა საშუალოდ 48 შშმ პირი.

3)კოდი N060304 ერთჯერადი ფინანსური დახმარება-ქვეპროგრამის ბიუჯეტით 2021წლის დამტკიცებული გეგმა განისაზღვრა 120.0 ათასი ლარით.მიმდინარე წელს კი ქვეპროგრამის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 350,0 ათასი ლარი.ქვეპროგრამით საანგაიშო პერიოდში ისარგებლა 1738 მოქალაქემ.

4)კოდი N060305 ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება-დიალიზის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციარს გასული წლების განმავლობაში ტრანსპორტისთვის თვეში ერიცხებოდა100 ლარი,2021 წლის ივლისის თვიდან თანხა განისაზღვრა 150 ლარით,2022 წლის ინვრიდან კი დიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს ყოველთვიურად ერიცხებათ 200 ლარი.დიალიზის პროგრამაში დღეის მდგომარეობით ჩართულია 10 მოქალაქე.ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება წლიურად განსაზღვრულია 600 ლარით და მოსარგებლეა 3 ბენეფიციარი.

5)კოდი N060306 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება,რომლის მოსარგებლეა 4 და მეტ შვილიანი ოჯახი.დახმარება თითოეულ ბავშვზე გასულ წელს შეადგენდა 50 ლარს.მიმდინარე წელს თანხა გაორმაგდა და განისაზღვრა ბავშვზე 100 ლარით.

საანგარიშო პერიოდში შემოსულია 84 განცხადება.დახარჯულია 30,0 ათასი ლარი.უნდა აღინიშნოს,რომ მომართვიანობა გასულ წელთან შედარებით გაორმაგდა.

6)კოდი N060307 მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამით გასულ წელს განსაზღვრული იყო ერთჯერადად 200 ლარი წლის განმავლობაში.მიმდინარე წლიდან დახმარება განისაზღვრება ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით და წელიწადში შეადგენს 600 ლარს.ქვეპროგრამით სარგებლობს 10 მარტოხელა მშობელი.

7) 06 03 08 მარჩენალდაკარგულთა დახმარება. დახმარების მიმღებია 21 წლამდე ასაკის დედით ან მამით ობოლი ბავშვი. ქვეპროგრამით ისარგებლა 15 ბენეფიციარმა და დახარჯულია 2,4 ათ. ლარი.

8)კოდი N060309ყოველთვიური დახმარების პროგრამის ბენეფიციარები არიან სამამულო ომის ვეტერანები,უსინათლოები და დევნილები.გასულ წელს დახმარება გაიწეოდა 30 ლარით,2022 წლიდან განისაზღვრა 50 ლარით.საანგარიშო პერიოდში საშუალოდ მოსარგებლეა 97 მოქალაქე.

9)კოდი N060310 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება.დახმარების მიმღებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრი,რომელსაც პირველი რიგის მემკვიდრე არ ყავს და რომელზეც არ ვრცელდება ,,ომისა და სამხედრო ძალების შესახებ“ კანონის მე- 16 მუხლის კრიტერიუმები.დახმარება განისაზღვრება 2000ლარით და სარგებლობს 4 ბენეფიციარი.

10)კოდიN060311 ხანდაზმულთა დახმარება.დახმარების მიმღებია 100 წელს გადაცილებული მოქალაქე. მიმდინარე წელს დახმარება განისაზღვრება 1000 ლარით.ამ დროისათის გვყავს 2 ბენეფიციარი.

11)კოდი N060312 სადღესასწაულო დღეების დახმარება.დახმარება მოიცავს სადღესასწაულო დღეებში მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას.საანგარიშო პერიოდში პროგრამით ისარგებლა 1464 მოქალაქემ.აქედან გასული წლის დეკემბერში,წინასაახალწლოდ 50 ლარის ოდენობით დახმარება გაიცა 589 ოჯახზე- 30,0 ათას ლარამდე,ალილოს დღესასწაულისთვის შეძენილი იქნა 50 ცალი სასურსათო პაკეტი,ძველით საახალწლოდ,უსინათლოებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფზე გაიცა

ფინანსური დახმარება 50 ლარის ოდენობით 425 ოჯახზე,სააღდგომო დღეებში 100 ლარით დახმარება გაეწია უკიდურესად გაჭირვებულ 372 ოჯახს,მარტის სადღესასწაულო დღეებში საჩუქრები იქნა შეძენილი ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული გმირების დედებისთვის.ასევე,ისარგებლა ქვეპროგრამით დადგენილმა სხვადასხვა კატეგორიის 28 ბენეფიციარმა.

13) 06 03 13 სოციალურად დაუცველი ან უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის დახმარება; დახმარების მიმღებია 65000 სარეიტინგო ქულამდე გარდაცვლილის ოჯახი. ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში დახარჯულია 10,8 ათ. ლარი. შემოსულია 60 განცხადება, ისარგებლა 53 ოჯახმა.

14) **06 03 15 ახალშობილთა ოჯახების დახმარება. პირველი ბავშვის შეძენისას ოჯახისათვის გაწეული დახმარება შეადგენს 100 ლარს, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში_150 ლარს, მესამე_200 ლარს, მეოთხე_250 ლარს, მეხუთე_300 ლარს და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას თანხა იზრდება 50 ლარით. ტყუპების შეძენის შემთხვევაში თანხა განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით. შემოსულია 128 განცხადება, საანგარიშო პერიოდისთვის 114 ახალშობილის ოჯახზე გაწეული დახმარება შეადგენს 19.75 ათ. ლარს.**

15) 06 03 16 ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვა დაკრძალვის ხარჯი შეადგენას 250 ლარს და ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში დახარჯულია 1,0 ათ. ლარი.

16) 06 03 17 სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარება მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დახმარებას, უსახლკარო პირთა და ძალადობის მსხვერპლთა მინიმალური საცხოვრებლით (ბინის ქირით) უზრუნველყოფას. გასულ წელს ბინის ქირით უზრუნველვყოფდით 5 მოქალაქეს, ამ ეტაპზე წელს ბინის ქირის გადახდით სარგებლობს 3 მოქალაქე. ლარი. ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე სხვადასხვა კატეგორიის 188 ოჯახს გაეწია დახმარება 157,85 ათასი ლარით. მ.შ. პირველი კატეგორიით დაკმაყოფილდა 16

განცხადება, მეორე კატეგორიით _ 166 განცხადება, მესამე კატეგორიით _ 6 განცხადება.

17) კოდი N060318 უფასო სასადილოს დაფინანსება გასულ წელთან შედარებით 31.0 ათასი ლარით მეტი დაიგეგმა.ეტაპობრივად 25.0 ათასი ლარით მოხდა დამატებით თანხის მობილიზება,რამაც საშუალება მოგვცა კეთილმოწყობილიყო სამზარეულო,შეძენილი იქნა დიდი გაზქურა თავისი გამწოვით,სამზარეულოს ინვენტარი,რემონტი ჩაუტარდა სამზარეულოსა და სასადილო ოთახს,კეთილმოეწყო სველი წერტილები.სათნოების სახლი გასულ წელს ემსახურებოდა 105 ბენეფიციარს.დღეის მდგომარეობით ბენეფიციართა რაოდენობა გაზრდილია 142-მდე.ივლისის თვეში იგეგმება 15 ბენეფიციარის დამატება.პირველ რიგში ყურადღება მიექცა ბენეფიციართა კვების რაციონის გამრავალფეროვნებას.შეიქმნა სასადილოში იმის პირობები,რომ მსურველებმა სახლში წაღების ნაცვლად თავისი დღიური ულუფა მიირთვან ადგილზე. განსაკუთრებულად აღინიშნა დღესასწაულები-ქალთა დღე,აღდგომა და ბავშვთა დაცვის დღე.

გაფართოვდა მომსახურების არეალი, სასადილო კვირაში ორი დღე მზა საკვების ადგილზე მიტანით ემსახურება ახლომდებარე ადმ. ერთეულებში (საღანძილე, ბაზალეთი, ფარცხნალი, ლაშე). ასევე, მიმართვების საფუძველზე საკვები პროდუქტით დახმარება გაიწევა სხვა ადმინსტრაციულ ერთეულში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე. მუნიციპალიტეტში აღრიცხულ უკრაინელ ლტოლვილებს არაერთხელ გაეწიათ საკვები პროდუქტით დახმარება.

მომავალი წლიდან ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიისა და მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურთან ერთად,იგეგმება მოიძიოს საბიუჯეტო სახსრები,იმისათვის,რომ ზონალურად კიცხის,მოლითისა და ბორითის ზონაში არსებული ადმინისტრაციულ ერთეულებში,უზრუნველყოფილ იქნეს უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების საკვები პროდუქტებით მომარაგება.

18) 06 03 19 სოციალური უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა. როგორც მოგეხსენებათ, ქვეპროგრამის ფარგლებში ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების დანერგვის მიზნით დაბა ხარაგაულში გარემონტდა და ადაპტირდა შესაბამისი ფართი, აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა 0-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვების მომსახურება როგორც ბინაზე ვიზიტით, ასევე, ჯგუფური მეცადინეობები. აქვე გამოიკვეთა ლოგოპედის ჩართვის საჭიროება, რასაც მუნიციპალიტეტი აფინანსებს. რის შედეგადაც მშობლებს არ უწევთ ამ მომსახურების მისაღებად სხვა მუნიციპალიტეტში გადაადგილება. საგრანტო პროგრამა დასრულდა, თუმცა, დანერგილი სერვისის მდგრადობა მნიშვნელოვანია და ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში გრძელდება ბავშვებთან მუშაობა, გაფორმებულია საიჯარო ხელშეკრულება, ასევე, ხელშეკრულება მომსახურების მიწოდებაზე 10.0 ათასი ლარის ფარგლებში. სახელმწიფო პროგრამაში ამ დროისთვის პროექტის დამსახურებით 20 ბავშვიდან ჩაერთო 9 ბავშვი, მომლოდინეთა სიაშია 11 ბავშვი და ლოგოპედის მომსახურება ესაჭიროება 13 ბავშვს. ივნისის თვიდან განახლდა ჯგუფური მეცადინეობები.

19) კოდი N 060320 გასული წლიდან ამოქმედდა გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა.ქვეპროგრამა მოიცავს ისეთ მდგომარეობას,როდესაც მოკლებული ვართ შესაძლებლობას,მოქალაქემ ისარგებლოს სხვა მუნიციპალური პროგრამით.საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა 7 განცხადება და გაიწია შესაბამისი დახმარება.

20) კოდი N060321 ასევე,სიახლეა ომისა და სამხედრო ძალების დახმარება_ქვეპროგრამის მოსარგებლეა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.ქვეპროგრამით ისარგებლა 67 ვეტერანმა.

- საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის სოციალურ პროგრამებზე გამოყოფილი იქნა 48,981 ლარი.აქედან 13,881

ლარი მიმართულია მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამაში,28,000ლარი მიმართულია სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დასახმარებლად,ხოლო 7100 ლარი მიიმართა ერთჯერადი ფინანსური დახმარების ქვეპროგრამაში მოქალაქეების საზღვარგარეთ მკურნალობის მიზნით.

- ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები,რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას.ახალი კორონავირუსული ინფექციის გავრცელების გამო, ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი,ანხორციელებდა ყველა იმ ღონისძიებას,რომელიც საქართველოს მთავრობის მიერაა შემუშავებული ბრძანებებით და დადგენილებებით.ასევე იმ პროტოკოლებით,რომელიც იყო და არის დღემდე გათვალისწინებული.ტარდება კვლევა როგორც პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით,ასევე სწრაფი ანტიგენტესტით.საჭიროების შემთხვევაში ხდება მოქალაქეთა ბინაზე მომსახურებაც ტესტირების მიზნით.მერიის აქტიური ჩართულობით,ზონალურად ხდებოდა აცრის მსურველი ბენეფიციარების ტრანსპორტით უზრუნველყოფა ამცრელ პუნქტამდე.ასევე ამცრელი ბრიგადის მიერ ვაქცინაცია განხორციელდა ბინაზე მომსახურებით უნარშეზღუდული პირებისთვის.

1. ჩვენს რაიონში კოვიდ-19 ით ინფიცირების 5390 დადასტურებული შემთხვევაა სულ აღრიცხული, აქედან 2021 წლის ივნისიდან 2022 წლის ივნისამდე 4722 შემთხვევა, იანვრიდან დღემდე 1963 შემთხვევა, ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა თებერვლის თვეში 1150. მარტის თვიდან შემთხვევები მკვეთრად შემცირდა, მაისის თვეში აღრიცხულია სულ 17 შემთხვევა . უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე თვეში კვლავ ფიქსირდება კოვიდ-19-ით ინფიცირების შემთხვევების მატება - 17 შემთხვევაა დღემდე. ინფიცირებულების უმრავლესობა მკურნალობდა ბინაზე, ონლაინ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. გარდაიცვალა სულ 49 ინფიცირებული; წელს ლეტალობის 6 შემთხვევა დაგვიფიქსირდა. ყველა ინფიცირების შემთხვევა იქნა შესწავლილი,

კონტაქტები გამოვლენილი, შესაბამისად შეფარდებული თვითიზოლაცია. დაფიქსირდა რეინფიცირების შემთხვევები, ჩვენს მიერ გამოვლინდა 87 რეინფიცირება, თუმცა რეალური რიცხვი გაცილებით მეტი იქნება.

2. მიმდინარე წლის იანვრის თვიდან დღემდე, პროტოკოლით გათვალისწინებულ რისკ-ჯგუფებზე (სკოლის და ბაღის პერსონალი, სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლები, დადასტურებული შემთხვევის სიმპტომებიანი კონტაქტები, ცხელებით და რესპირატორული დაავადებებით პაციენტები, თვითდინებით ასიმპტომური მოქალაქეები, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების თანამშრომლები) ნიმუშის აღება ხდებოდა სჯც მიერ და იგზავნებოდა ქ. ქუთაისში, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთლობის დაცვის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში ან შ.პ.ს მიქსტაში. პჯრ კვლევა ჩაუტარდა სულ ერთი წლის განმავლობაში 3571 პირს , ხოლო 2022 წელში 1375 პირს. მიმდინარე წლის მარტის თვიდან პჯრ კვლევების ჩატარება შეიზღუდა და მხოლოდ ლიმიტირებული რაოდენობით განახლდა, ივნისის თვიდან. ამ კვლევების მიზანია, ეპიდზედამხედველობა, კოვიდის მოცირკულირე შტამებზე და არ აქვს კლინიკური დანიშნულება.

3. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ყოველდღიურად ხდება სწრაფი ანტიგენ ტესტით ტესტირება. ერთი წლის მანძილზე გაკეთდა 11012 სწრაფი ტესტი, მიმდინარე წელში, დღემდე გაკეთებულია 4214სწრაფი ტესტი.

4.საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის მიერ ხდებოდა და ხდება ყველა იმ ბენეფიციარის დახმარება(ბინაზე ტესტირება) ვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ან უკიდურესი ეკონომიური გაჭირვების გამო არ შეუძლია გადაადგილება. კოვიდ ინფექციის კლინიკური ნიშნების არსებობის შემთხვევაში, სამსახურიდან ნიმუშის ასაღებად ან სწრაფი ტესტის ჩასატარებლად მობილური ჯგუფი ემსახურება ბინაზე მისვლით. სულ პანდემიის პერიოდში მოემსახურენ 250 მდე ბენეფიციარს.

5. მიმდინარე პერიოდში თვითიზოლაციში იყო დაახლოებით 3 პირი, ძირითადად კოვიდ-19-ით ინფიცირებულის კონტაქტის კონტაქტები.

6. ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრები ჩვენს მუნიციპალიტეტში დაიწყო 2021 წლის 4 მაისიდან. აცრები ტარდება ხარაგაულის რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრში და ბორითის გადაუდებელ დახმარების ცენტრში. ვაქცინის მიღება და განაწილება ხდება სჯც-ის მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და სჯც-ის ერთობლივი მუშაობით ხდებოდა, ზონების მიხედვით იმ აცრის მსურველი ბენეფიციარების ტრანსპორტით უზრუნველყოფა ამცრელ პუნქტებამდე, რომლებსაც არ შეეძლოთ თავიანთი ხარჯებით გადაადგილება. ასევე სამსახური ორგანიზებას უწევდა და ოჯახებში მიყავდა ქ.ქუთაისიდან მოწვეული სპეციალური ჯგუფი რომლებიც ბინაზე უწევდა მომსახურებას უნარ შეზღუდულ პირებს. აცრები ხდებოდა სინოვაკი, სინოფარმი და პფაიზერის ვაქცინებით.

დღეის მდგომარეობით აცრილია სულ დაახლოებით 587 მოქალაქე, ბორითის კლინიკაში აცრები ტარდება კვირაში სამი დღე: პარასკევს, შაბათს და კვირას, ხოლო დაბის სტაციონარში კვირაში ხუთი დღე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

- გასული წლის აპრილის თვიდან მერიაში შეიქმნა მეორადი სტრუქტურული ერთეული ბავსვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება,რომელიც მიმდინარე წლის აპრილის თვიდან დაექვემდებარა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურს.განყოფილება დაკომპლექტებულია ოთხი თანამშრომლით - განყოფილების უფროსი, სოციალური მუშაკი, ჯანდაცვის სპეციალისტი და ფსიქოლოგი. განყოფილების მიერ ბენეფიციარებს გაეწევათ მატერიალურ-

საყოფაცხოვრებო და მორალურ-სამართლებრივი დახმარება, დგინდება კონკრეტული მდგომარეობის მიხედვით გასაწევი დახმარების ფორმა და მოცულობა სოციალური, ფსიქოლოგიური და აკადემიური ფუნქციონირებისა და ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით. განყოფილების მიერ კონსულტაცია გაეწევათ ინდივიდებს, ჯგუფებს, ოჯახებს და საზოგადოების სხვა წევრებს ფსიქიკური ჯანმრთელობის, სიღარიბის, უმუშევრობის ნარკოტიკული ნივთიერების მავნებლობის, ძალადობის, რეაბილიტაციის, ბავშვის მოვლისა და სამედიცინო დახმარების საკითხებში. შეფასდება სიტუაცია, პრობლემა, შესაძლებლობები და განისაზღვრება მომსახურება, რომელსაც ისინი საჭიროებენ.

მომართვიანობის საფუძველზე განყოფილებაში განხილულია 30-ზე მეტი შემთხვევა. ყველა მათგანზე მოხდა ჯგუფური გასვლა და არსებული მდგომარეობის ადგილზე შესწავლა. სოც მუშაკის მიერ თითოეულ შემთხვევაზე შექმნილია ინდივიდუალური საქმე. ზოგიერთი შემთხვევა მიმდინარეა, განყოფილების თანამშრომლების მხრიდან მიმდინარეობს ასეთი ოჯახების და ბავშვთა მონიტორინგი.

განათლების სამინისტროსთან ერთად განხორციელდა სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგი. კერძოდ, მოხდა ისეთი მოზარდების იდენტიფიცირება, რომლებსაც მიუხედავად სასკოლო ასაკისა, არასდროს ჰქონიათ მოსწავლის სტატუსი და არ ირიცხებიან არცერთ სკოლაში.

განყოფილების თანამშრომლების მიერ ოჯახებში განხორციელებული ვიზიტების შედეგად მოხდა იმ ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორების მოკვლევა, რის გამოც აღნიშნული მოზარდები არ ირიცხებიან ფორმალური განათლების სისტემაში, შესაძლებელია თუ არა მათი ზოგადი განათლების სისტემაში ინტეგრაცია, თუნდაც დისტანციური სწავლების ფორმით. მათი ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, სამომავლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებასთან ერთად გეგმავს

შეიმუშაოს ისეთ პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ასეთ ბავშვთა განათლების და განვითარების პროგრესის მხარდაჭერას.

განყოფილების ჩართულობით მოხდა ერთი არასრულწლოვანი ბენეფიციარის ჭიათურის სპეციალურ საჭიროების მქონე სკოლა-პანსიონში გადაყვანა. აღნიშნულ საქმეზე განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში მოზარდის განვითარების დადებითი მაჩვენებელი საგრძნობლად გაზრდილია.

განყოფილების ინიციატივით და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების ჩართულობით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოხდა ისეთი ოჯახების აღრიცხვა, სადაც ცხოვრობენ არასრულწლოვნები და შეიქმნა ბაზა, რომელიც მანამდე არ ქონდა მუნიციპალიტეტს. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს მუშაობა არასრულწლოვანთა მხარდაჭერის გრძელვადიანი პროგრამის შესაქმნელად, რომელსაც წარუდგენენ მერს და ვიმედოვნებთ, რომ გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში. გრძელვადიანი პროგრამა გულისხმობს არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკურ გაძლიერებასა და მათი კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილებას.

მიმდინარეობს ასევე, არასრულწლოვან შშმ პირთა ბაზის შექმნა (სტატუსიანი, უსტატუსო) რომლის დასრულების შემდეგაც ვგეგმავთ პროექტის განხორციელებას მუნიციპალიტეტის სასწავლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით. სამომავლოდ განყოფილების მიზანია შეიქმნას მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული სხვადასხვა პროფესიის ადამიანებით. საბჭოს შექმნის მიზანია ბავშვთა განყოფილების საშუალებით მოხდეს სოციალიზაცია ბენეფიციარსა და აღნიშნულ სტრუქტურებს შორის.

დაიგეგმა ვიზიტები სასწავლო დაწესებულებებში, განყოფილების საქმიანობის შესახებ ინფორმირების მიზნით. შევხვდით საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს და საჯარო სკოლების დირექტორებს, რათა კიდევ უფრო მეტად

გაღრმავდეს ჩვენს შორის კომუნიკაცია, ერთი საერთო ინსტერესის - ბავშვის კეთილდღეობის გამო.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონიტორინგი ისეთ ოჯახებში, სადაც უკვე თითქმის ერთი წელია ვმუშაობთ და ვაფასებსთ ქეისების ინდივუდუალური გეგმის მიზან-შედეგობრივ არსს. მინდა აღვნიშნო, რომ მომართვიანობა საკმაოდ მაღალია.

- სამსახურში მიმდინარე წლის თებერვლის თვიდან დასაქმებულია თემის სოციალური მუშაკი,რომელმაც ამ მცირე დროში წარმოებაში მიიღო 9 შემთხვევა.მათგან 4 შემთხვევა დასრულდა ბენეფიციარისთვის დროული და საჭირო დახმარების გაწევით,ორი შემთხვევა გადაეცა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა,დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა- მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის იმერეთის რეგიონალურ ცენტრს.ერთ შემთხვევაზე მიმდინარეობს პრევენციული ღონისძიებები ოჯახის გაძლიერების მიზნით,ხოლო 2 შემთხვევა მოკვლევის და განხილვის პროცესშია.
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მომსახურებას უწევს 14ს/ამბულატორია.წესრიგდება შიდა კომუნიკაციები,ეტაპობრივად ხდება ამბულატორიების მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემა,ყველგან შყვანილია ინტერნეტი,რათა მოქალაქეებს არ შეექმნათ შეფერხება ჯანდაცვის პირველადი რგოლის მომსახურებისას.
- მოქალაქეებს სამსახურის მიერ ყოველდღიურ რეჟიმში გაეწევათ კონსულტაცია საყოველთაო ჯანდაცვის დაზღვევის პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებასა და ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ.
- სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან,გაიწევა კონსულტაციები ვეტერანებისთვის აქტუალურ საკითხებზე,ასევე,ხდება მათი დახმარება მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში.
- სამსახურის მიერ ასევე ხორციელდება ეკომიგრანტი ოჯახების ადგილობრივ დონეზე მომსხურება.მიმდინარე წელს შესწავლილია 21 ოჯახი და გადაგზავნილია შესაბამის უწყებაში.
- მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე სამსახურის მიერ მზადდება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შუამდგომლობა საკარმიდამო ნაკვეთის და

საცხოვრებლის გეოლოგიური კუთხით შეფასების მიზნით.მიმდინარე წელს გადაგზავნილია 20 მიმართვა.

- სამსახური მუშაობას წარმართავს სამსახურის დებულების შესაბამისად,ხელმძღვანელობს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესით.მერიაში,როგორც მოგეხსენებათ,მოქმედებს სოციალურად დაუცველ და მზიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი კომისია,რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია სამსახურის თანამშრომლებით,კომისიას ხელმძღვანელობს მერის პირველი მოადგილე ,დარგის კურატორი,ბატონი ვარლამ ჭიპაშვილი,რომელიც აქტიურადაა ჩართული სამუშაო პროცესში,დაუყონებლივ ხდება განხილვა და რეაგირება სასწრაფო და მნიშვნლოვან საკითხებზე.ვთანამშრომლობთ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსთან,მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან..

1) **საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ორგანიზებულ იქნა სკოლამდელ დაწესებულებებში პარაზიტული დაავადებების გამოკვლევა. გამოკვლევა ჩატარდა სოფელ ხიდრის, ვარძიის, წყალაფორეთის, კიცხის, ბორის, საღანძილის, ლეღვნის, ვახანის, ხევის, ხუნევის, ვერტყვიჭალის, ღორეშის და დაბის N1 და N2 ბაღების აღსაზრდელებში, სულ გამოკვლეული 317 ბავშვიდან ინვაზირებული აღმოჩნდა 38 ბავშვი. სექტემბრის თვიდან, სასწვლო წლის განახლებასთან ერთად, კვლავ იგეგმება მუნიციპალიტეტის მაშტაბით აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება..**

2) **ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციის გამო შეჩერებული პროგრამა - დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინიგის პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარების უფასო გამოკვლევა-გასინჯვა, განახლდა და ორჯერ მოხდა 13-13 მოქალაქის ტრანსპორტირება ქ. ქუთაისის ონკოლოგიურ კლინიკაში.**

3) **საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს მარინა ვეფხვაძისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორ მამუკა ჭიპაშვილთან ერთად განხილულ იქნა სკოლებისა და ბაღების წყლით მომარაგების სისტემის**

პრობლემები და მათი მოგვარების გზები.სკოლების,ბაღების დირექტორებსა და მერის წარმომადგენლებს დაევალათ წყლის მომარაგების სისტემების პრობლემების გამოვლენა და მათი მოწესრიგების გზები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე,რათა წყლის ბიოლოგიური და ქიმიური ანალიზი შეესაბამებოდეს სტანდარტებს.

4) ასევე 30/07/2022 სოფელ კიცხში სკოლის ტერიტორიაზე განხორციელდება აქცია მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებზე:

კარდიოლოგი-ელისო წაქაძე
ნევროლოგი-ნანა გელენიძე
ოტო-რინო-გიორგი მეძველია
პედიატრ-ნეფროლოგი-მადონა გელაშვილი
თერაპევტი-მარიამ ხარაბაძე
ენდოკრინოლოგი-ეკა მიქაძე
უროლოგი-გიორგი ნაცვლიშვილი
მამოლოგი-შოთა მაღლაკელიძე
გინეკოლოგი-მაია დათიაშვილი
რადიოლოგი-რუსუდან ძოწენიძე

5) სოციალური პროგრამების ასლი გადაგზავნილია მერის წარმომადგენლებთან და მაჟორიტარ დეპუტატებთან,რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობა ინფორმირებული იყოს იმ სოციალური პაკეტების შესახებ რომელიც მოქმედებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.